ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 34

ქ. თბილისი

20 ოქტომბერი 2015 წელი

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ მცხეთის N1 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის ვერიკო მაჩხანელის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, შპს „ლაბ დისტრიბუცია" წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯაბა თვაურის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ერთი ცალი კომბაინის Canon i-SENSYS MF3010 შესყიდვა (შემდგომში – საქონელი) CPV 30200000.

2 . საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 364.41 (სამას სამოცდაოთხი) ლარს და 41 თეთრს.

3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს ხარისხიანი საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დადგენილ ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

5.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

6.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები

შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

6.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6.5. მხარე ვალდებულია 6.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

6.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად ერთი ინახება შემსყიდველთან მეორე მიმწოდებელთან

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 30 ნოემბრამდე.

11. სხვა პირობები

11.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ქალაქ მცხეთის N1 საჯარო სკოლა	შპს ,,ლაბ დისტრიბუცია''
მის:ქ.მცხეთა, დავით აღმაშენებლის 71	მის: ქ. თბილისი, ზაზიშვილის შეს. N1
საიდენტიფიკაციო კოდი: 236087578	საიდენტიფიკაციო კოდი: 200253705
სს ,,ლიბერთი ბანკი'	სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ.ნომერი: GE71LB0121149359471000	ანგ. ნომერი: GE69BG0000000622230900
ტელ: (0322) 51 21 73; 577 544 843	ტელ: (0322) 290609; 290680
დირექტორი	დირექტორი
ვერიკო მაჩხანელი	ჯაბა თვაური

შპს "ლაბ დისტრიბუცია"

საქართველო, თბილისი, ზაზიშვილის I შეს. №1
საბანკო ანგარიში: ს.ს."საქართველოს ბანკი"

ა/ა **GE69BG0000000622230900**
საიდენტ. კოდი 200253705
http://www.lab.ge/
ჩაჩავას №8 ტ: 229 06 09, 229 06 80
jaba@lab.ge

www.lab.ge

				20-Oct-15
გადამხდელი:	ქალაქ მცხეთის №1 საჯარო სკოლა	მენეჯერი:	ჯ.თვაური	20-Oct-15

		რაოდ,	ერთ. ფასი	ფასი
Printer	Canon i-SENSYS MF3010	1	364.41	364.41
ჯამი: GEL				364.41

პასუხისმგებელი პირი ჯ.თვაური